დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

The Shin & მარიკო საქართველოს სიმღერით THREE MINUTES TO EARTH წარადგენენ

The Shin & მარიკო სიმღერით THREE MINUTES TO EARTH საქართველოს 2014 წლის ევროფესტივალზე წარადგენენ.

საკონკურსო სიმღერის ავტორი ზაზა მიმინოშვილია, ტექსტი კი Eugen Eliu-ს ეკუთვნის. სიმღერის არანჟირებაზე ჯგუფ The Shin -ის წევრები მუშაობენ.

ჯგუფი The Shin შტუტგარტიდან თბილისში 28 თებერვალს ჩამოვა. The Shin & მარიკო რეჟისორ ბასა ფოცხიშვილთან ერთად, ვიდეორგოლის გადაღებასა და სცენოგრაფიაზე იმუშავებენ.

მაყურებელი სპეციალურად ევროვიზიისთვის შექმნილ სიმღერას უახლოეს პერიოდში შეაფასებს. THREE MINUTES TO EARTH-ის პრემიერა პირველ არხზე გაიმართება.

2014 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსს კოპენჰაგენი უმასპინძლებს. 59-ე ევროფესტივალის ნახევარფინალები 6 და 8, ხოლო ფინალი 10 მაისს გაიმართება. კონკურსში წელს 37 ქვეყანა მონაწილეობს.

The Shin & მარიკო სიმღერას THREE MINUTES TO EARTH ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალურ საღამოზე შეასრულებენ.